

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ



გენკედეგე № ³⁸²

" _ _ _ _ _ _ დეკემბერი 2020 ♥

თბილისი

ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/024-ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 წოემბრის №20.1396.1689 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

- 1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/024-ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01201823550-67 (01202681234-67; 01203022187-67; 01203081497-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისმიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
 - 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №44), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალამე



ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ



განკარგულება - N 20.1396.1689 25 / ნღემბერი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქ თბილისში, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 09/024) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს 2020 წლის 30 ივნისს N01201823550-67 (N01202681234-67; N01203022187-67; N01203081497-67) განცხადებით მიმართა დიმიტრი გოხელაშვილმა (პ/ნ 59004001068) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქ თბილისში, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 09/024) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) ჯამური ფართობი 7 880კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, სამხრეთის მხრიდან - მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებული ტერიტორია, დასავლეთით - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ხოლო ჩრდილოეთით - სსიპ - თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიები, არსებული შენობებით, ასევე, შპს "ოპ-არტის" საკუთრებაში არსებული ტერიტორია, რესტორანი "მაჭახელა". რელიეფის ზედაპირი, საპროექტო ტერიტორიის არეალში სწორია, სხვაობა ნიშნულებს შორის 1 მეტრის ფარგლებში მერყეობს. საპროექტო ტერიტორიასთან სატრანსპორტო კავშირი ხდება ორი მისასვლელით, ერთი უშუალოდ ბელიაშვილის ქუჩიდან, ხოლო მეორე N01.13.02.009.028 და N01.13.02.009.015 საკადსატრო ერთეულებზე რეგისტრირებული სერვიტუტის მეშვეობით.

"ქალაქ თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, N2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042, ნაკვეთი 09/024) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, დია სპორტული მოედანი, კომერციული ფართები, დია და დახურული ავტოსადგომები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N5 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1).



საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია არსებული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) ცვლილება, საზოგდოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ფუნქციური გამოყენებები: საცხოვრებელი, კომერციული.

ტერიტორიაზე დაგეგმილია საში - 22; 20; 20 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა 75% არის საცხოვრებლი ფუნქციის, ზოლო 25% - საზოგადოებრივი. შესაბამისად, საშივე შენობის პირველი ორი სართული გათვალისწინებულია საზოგადოებრივი/კომერციული ფუნქციისთვის.

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 7 880კვ.მ. სსზ-2- 7333 კვ.მ. ტზ-1- 547 კვ.მ

3-1=0,5; 4 235 33.8

3-2=4,6; 36 400 33.8

a-3=0,2; 2 000 aa.8

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

"ა" ბლოკი - 22 სართული

"ბ" ბლოკი - 20 სართული

"ც" ბლოკი - 20 სართული

"ქ. თბილისის მუწიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მი-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან ღრივე დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპს აწარმოებს ქალაქ მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმაზორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის N18-01202693228 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.13.02.009.042 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 9 ნოემბრის N012031487 წერილის თანახმად, ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისზმო გარემოებები, სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების ქალაქთმშენებლობითი განვითარების , დაძინაბაძცწ თბილისის პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განაზლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქ თბილისში, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 09/024) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუზლის "ე.ბ" ქვეპუნქტისა და "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01201823550-67 (NN01202681234-67; 01203022187-67; 01203081497-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკგენტის საგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N2/6; ქალაქ თბილისში, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 09/024) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

- 2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზაგნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
- 3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცგ-მერი) ირაკლი ხმალაძეს.
- 4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



უალაჟ თაილისის მუნიციკალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური





წერილის ნომერი: 18-01202693228

თარიღი: 25/09/2020

პინი: 2063

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტო

მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 24 სექტემბრის №01202681234-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ლუბლიანას №2/6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.009.042; ფუნქციური ზონა: სპეციალური ზონა 1) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტოპოგრაფიული გეგმისა და ინტერაქტიული რუკის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ ფიქსირდება. **შესაბამისად, აღნიშნულთან** დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: 20 ძირი მინდვრის ნეკერჩზალი, 10 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 10 ძირი კავკასიური ცაცხვი, 20 ძირი ჰიმალაის კედარი, 10 ძირი საპნის ზე და 10 ძირი თეთრი აკაცია - ჯამში: 80 ერთეული) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (2 000 8²).

გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ზეების სიიდან) და ისინი ქალაქ თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.13.02.009.042 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ზელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ – ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ



წერილის ნომერი: **01202**73777 თარიღი: **29/09/2020**

პინი: 6002

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 24 სექტემბრის N 01202681234-67 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩა, N2/6, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, არსებულ მიწის ნაკვეთზე (09/024) (ს/კ:01.13.02.009.042) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული გახვითარების სააგენტომ პოზიცია დააფიქსირა განაშნიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2019 წლის 25 დეკემბრის N 0119359920-67 წერილის პასუხად N 01193602528 წერილით.


ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.


სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ზელმოწერა/ელექტრონული შტამპი














	_
	100
9	19
9	5(1)2
-	5
	000
0	936
-	3
9	200
-	00
9	3
-	5)
-	636
į	00
000	3301
	600
	2
- 1	8
,	0.

_	ნაქვეთოა ნომერი	,
2	ნაკვეთუ ფართობი	7880 33.9.
6	დაგეგმ <i>ილი</i> მიზნობრივი დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო
4	გეგმარუბის შემზტუდავი ზონა ან ქვეზონა	სინჟინრო გეგმარებითი შეზღუდგა
5	ტერიგორიულ-სტრუ <u>ე</u> ტურული ზონა	ᲒᲔᲒᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲐᲠᲐᲐᲡᲘ (ᲒᲐ) ᲞᲔᲠᲘᲤCᲠᲘᲔᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ (ᲞᲖ)ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲔᲠᲘ ᲖᲝᲜᲐ(ᲨᲖ)
9	ეონ <u>ე</u> რეტული ფუნქციური ზონა	საზოვადოებრივ-საქმიანი ზონა 2
7	სამშენეოლო გამოყენების სგაგუსე	მშენებლობის შეზლუდვის გარეშე
8	გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქცია	საცხოვრებელი, ჯომერციული
6	შენობა–ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან სართულიანობა	"ა" ბლოკი 77.208 (22 სართული) "ბ" ბლოკი 68.108 (20 სართული) "(ქ"ბლოკი 70.858 (20 სართული)
01	აკტოსადგომების აუცილებელი მინიმალური რაოდენობა	მოთხოვნილი-182 საპროექტო- 82 მინისზედა-8 მინისქვემა-174
Ξ	ა-1 გოეფიციენტი	0.5
12	კ-2 ჯოლფიციენტი	4 6
13	ე-3 გოლფიციენტი	0.3
14	მიწის ნაყვეთის მინიმალური დართობი	
15	მინის ნ _{აქვე} თის მინიმალური ზომები	30605 6333000 306,508363 60 30605 6333005 306,5000553 116
16	მიწის ნ _{აქვე} თის დაყოფა გაერთიანების რეჟიმი	•
17	მინის ნ- <u>აკვეთზე შენობის</u> განთავსების წესი (წყობია სახეობა. რეგვუდირების ხაზი, შენობკაის რაოდენობა)	წყობის სახეობა-დია რეგულირების საზი-წითელი შენობების რათდენობა-3

	09 09FCG	ว6วน, หวหวรวนว เวหวงน สภาคกน	പ്രമാനദാകാ	Proc pater	100	7		1	TOTAL THE COUNTY OF THE COUNTY		30.06.2020	REVISIONS	graden pare						യാനദ്ധ. PAGES	
3.3.ს. "ბლოქსი"	ເລປຣເກາສສາລວນຫດ ວເກອຈຫາງປະດ ລາເຫດຈອກເຫດເບ ສາຄວຈລ	a. Obbiecolo Consecución, Rabasta an Entra an En	33060	0,000,000,000	8. UDEDODIENCI	3.670,03360	6. rasened	6.8700900	ALLA CORZ DROMEN CORZ F molt: 01	SR30c3363R3@0 6360@0	DATE OF ISSUE	309634086383	74 STIGGE REV.	1	5	3	7	0 0	NECOSALO INDEX	
CCSS33000 CLIENT	PROJECT LDC	anusasema address	เทาธวลตาลศาลง	യരുപ്പെട്ട	871.2FF30023677F0	3300160			A		SOME	636250	DRWG.	C.Z.L.FZ.8	ᲛᲘᲜᲘ Ს ᲜᲐᲙᲕᲔᲢᲘᲡ	താരാമായാഗ	CONTRACTOR		LOJUN) STAGE	3693

KEY PLAN

CANDE CONTROLLA SECULIA SECU		30.06.202	REVISION	ODS-DEG DATE							97FB. PAG	
A.C.S. Strangerson F mall: erts	8 6360 CO		1383	Jo. REV.							NDEX	
	SR 30c3363R3W0 6360W0 ARCHITECTURE	MANAGON DATE OF ISSUE	37833688383	P STS336.		5	3	7	40	9	0960390	
ГЛ	3F-30c.				8.Z-	330000	0000	900000	00000		STAGE	2
A		SCALE	636.960	DRWG	C.Z.L.FZ.8	3050b 533300b	താരായാത്ത	കാ ർമ്പർദാടമാർവ	ന്നപ്പാദാദരാഗ		Lough	3698